პარასკევი 1919 წ. აპრილის 25 № 88
ფელიფადი მეხუთე

პარასკევი 1919 წ. აპრილის 25 № 88
ფასი 1 მან. და 50 კ.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და **რედაქცია** არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია **დიაა** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. **სარედაქციო** საქმეების **გამო** პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო** **განცხადება** თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ **საათისა** კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი **რედაქციისა** **და** **კონტორისა** **15--73**

კვირას, 27 აპრილს გაიხსნება საზაფხულო კინემატოგრაფი

„პიკადილი"

ნაჩვენები იქნება ახალი სურათი მუსიკა მოსკოვის ცნობილ კომპოზიტორ-იმპროვიზატორის, პიანისტ ივანე ნიკოლოზის ძის ხუდიაკოვისა

მიხეილ გიორგის ძე მეუღლით და შვილებით აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობთ საყვარელ ძმისწულის

ოსიპო ტარასაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდა ხუთშაბათს, 24-ს აპრილს, თბილისის სადგურზე, მხოლოდ დაკრძალვა მოხდება 26-ს აპრილს, შაბათს, სოფ. ველისციხეში. (1—2323—1)

ისობა ლუკის ძე მეუღლით მარიამ გიორგის ძე, შვილებით გიორგი, ალექსანდრე და ოლია დავითაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გადაცვალებულისა მათთვის დაუვიწყარი ძმისწულის

ოსიპო ტარასაშვილისა

პანაშვიდები მუდამ დღე მიცვალებულის ბინაზე (ახალ არსენალის ქუჩა № 7) დაკრძალვა მოხდება ს. ველისციხეში. შაბათს 26 აპრილს 1—2323—1

ღრმად დამწუხრებულნი: დედა სალომე, ძმა გიორგი, და ნენიკო, სიძეები: გიორგი ნანეიშვილი, სამსონ მაჭავარიანი, დისწულები და ძმისწულები: ზურა, ნადია, გოგუცა, ცუცუნა, გუგული, კოტე, გრიშა, დიმიტრი და კიტუშა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფასი

აკაკი მდივნის

გადახდილ იქნება სოფელ გეგუთში 29 აპრილს. 2—2310—2

გულით მწუხარენნი დიმიტრი იოსების-ძე და აგრაფინა პლატონის ასული ვეზირიშვილები შვილებითურთ იოსებ, ანდრია და მერი ვეზირიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს უდროვოთ გარდაცვალებას ძვირფასის დაუვიწყარის პირველის ცოლის ძმის წულის, მეორესი ძმისწულის მხოლოდ დანარჩენების საყვარელის ბიძაშვილის

თამარასი სოკოლოვის ასულის

რომლის სულის მოსახსენებლათ არის დანიშნული პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ გორის ქუჩა დიდუბეში სახლ. № 5. გასვენება იქნება შაბათს 26 აპრილს კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიის გალავანში—დილის 9 საათზედ. (1—2400—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მიხეილი იასონის ძე, მარიამ ნიკოლოზის ასული ოქროპირიძენი შვილებით: თამარა იასონის ასული მინა მალაქიას ძე მარუაშვილები გოგიათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ შაბათს, 26 აპრილს, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქარელის წყარო-ცხოვრების ეკლესიაში

დეკანოზ იასონ სოლომონის ძე

ოქროპირიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3—2325—1)

მიხეილ და მარიამ ოქროპირიძენი, თამარი და მინა მარუაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 26 აპრილს გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის აღსანიშნავად წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

დეკანოზ იასონ სოლომონის ძის

ოქროპირიძის

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ქარელში. (1—2326—1)

პირველნი მშობლები მალალეინ პლატონის ძე სოკოლოვი და მეუღლე მათი ელენე სიმონის ასული სოკოლოვისა შვილებითურთ ანნა, ნიკოლოზი და სიმონი მეორე ბებია დარია ტარიელის ასული სოკოლოვისა და მამიდა ნინო პლატონის ასული სოკოლოვისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას მათი უსაყვარლესი ასულის

თამარა მალალეინის ასული სოკოლოვისას

პანაშვიდები გადახდილ იქნება ყოველ დღე საღ. 6 საათზე, დიდუბეში გორის ქ. № 5, საკ. სახლი. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 26 აპრილს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის გალავანში დილის 10 საათზე. (1—2399—1)

საკათოლიკოზო საბჭოს

ეპარქიალური საკრებულოს ალაგი თავისუფალია

თვიური ჯამაგირი ათისი (1000) მანეთი.

თხოვნები მიიღება საკოთოლიკოზო საბჭოში 1919 წ. მაისის პირველამდე. (3—2315—3)

ლეკურის კურსები

მსახიობ

ელო ანდრონიკაშვილისა

1-ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—22

პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო

საბავშვო ბაღი გიგინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

მიიღებიან გავშვები 4—9 წლამდის.

ჩაწერა და ცნობების მიღება 3 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი. ტელ. 2 04.

12—2289—8

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43. 60—2171—26

ვაწის, ტომატის და სხვა მცენარეთა შესაკონავად ფუთობით იყიდება

დრაცენა

ელისაბედის ქუჩა, № 105—ეზოში 10 საათ. 12 ს.-მდე. 1—2311—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

პარასკევს, 25 აპრილს წარმოდგენილი იქნება

აბესალომ და ეთერი

შაბათს 26 აპრილს „პიკოვაია დამა", კვირას 27 აპრილს დილით საბავშო წარმოდგენა, საღამოთი „ფაუსტი".

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, აპრილის 28-ს

ქართული ტანსავარჯიშო საზოგადოება

„მევარდენი"

ამართავს პირველ ტანსავარჯიშო

საღამოს

1.

ქ-ნ შულგინას, კალანდაძე—აგასოვის, სპიტკოს; ბ-ნ სარაჯიშვილის, პოლიაევის, ინაშვილის, ქურხულის მონაწილეობით

დ. არაყიშვილის ოპერა.

თქმულება ოქთა რუსთაველზე

2.

ტან-ვარჯიშოგა

ა) ბავშვთა თავისუფალი ვარჯიშობა (2 ვარჯიში). ბ) ბავშვთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერძზე. გ) ქალთა ჯგუფის ვარჯიშობა ორძელზე. დ) ვაჟთა ჯგუფის ვარჯიშობა ორძელზე. ე) ქალთა თავისუფალი ვარჯიშობა (2 ვარჯიში). ვ) ვაჟთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერძზე. ზ) ვაჟთა თავისუფალი ვარჯიშობა (3 ვარჯიში)

3.

ა) სიმბოლიური სურათი (საქართველო და „შევარდნობა"). ბ) საერთო ჯგუფი

ყველა ვირჯიშობის დროს დაუკრავს მუსიკა.

იყიდება

2 საოქრთძლო ძვაბი. ერთი 100 ძალიანი მეორე 15 ძალიანი გარდა ამისა 4 ნახმარი რეზერვუარი. და 200 სექცია ღუმელი ცენტრალურ გათბობისათვის.

ვერის დალმართი № 7.

(2—2327—1)

კვირას, აპრილის 27-ს, შუადღის 11 ს. ქართულ კლუბში დანიშნულია

საქართვ. ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისელ წევრთა საზოგადო კრება

საკითხები: პარტიული მუშაობა თბილისში.
2. თბილისის კომიტეტის მოქმედების ანგარიში.
3. თბილისის კომიტეტის ხელ-ახალი არჩევა.

კონფერენციისთვის

დღეს უნდა გაიხსნას კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია. ამ კონფერენციის მიზნებისა და სამუშაო პროგრამის შესახებ ჩვენი მეზობლების პრესაში თითქმის არაფერი თქმულა. საზოგადოებრივი გულისყური ხანგრძლივად და სათანადო მოცალეობით ამ კონფერენციაზედ არ შეჩერებულა. უფრო მეტი იყო ინდიფერენტიზმი, ვიდრე ხალისი და ინტერესი. ეს გარემოება ცხად ჰყოფს რომ ჯეროვანად შეგნებული არ არის, თუ რა დიდი საქმე შეიძლება გაკეთდეს კონფერენციაზედ, თუ მისი წევრები შეთანხმების და ერთმანეთის გაგების პსიხოლოგიით მოვლენ. ამ სამწუხარო საზოგადოებრივმა გულცივობამ კონფერენციის წევრებს მეტი მონდომება და აფრთოვანება უნდა შემატოს და მიღწევის ენერგია გაუძლიეროს.

ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ კონფერენციის წევრები პერსონალურად შესძლებენ უხვად დაჰფარონ თავ-თავიანთი ქვეყნის საზოგადოებრივი ნაკლი და უყურადღებობა ამ კავკასიის ერთა პირველ კონფერენციისადმი. თუ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებს აღმოაჩნდათ გონების თვალის გამჭრიახობა და სახელმწიფოებრივ-ეროვნული გრძნობის სიმაღლე, ეს პირველი კონფერენცია თამამად გადაიქცევა კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის პირველ დამფუძნებელ კონფერენციად.

ერთად-ერთი შეურიგებელი მტერი კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობისა, რუსეთია. ლენინი დარჩება რუსეთის მბრძანებლად, თუ დენიკინი კოლჩაკი, სულერთია; რუსეთის შემოკრეფა პირველი მორიგი საკითხი იქნება რუსეთში საბოლოოდ დამკვიდრებულის ხელმწიფებისა.

კავკასიის წინააღმდეგ იერიში-იერიშზე უკვე მოაქვთ. მთიულეთი და საქართველო თავდაცვის ომებს უკვე აწარმოებენ. ეს შემოტევა მხოლოდ შესავალია ყველა კავკასიის ხალხთა წინააღმდეგ საერთო შემოტევისა. მოხალისე და ბოლშევიკი, ორივენი ერთად იქნებიან კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ პირობებში გამარჯვების იმედით ბრძოლის წარმოება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ შეიქმნება საერთო კავკასიური ფრონტი თავდაცვა შეტევისა, თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნების იდეა ერთსულოვნობის პათოსს ჩაუდგამს კავკასიის ერებს და ყველას გვერდ-გვერდითი საომრად შეჰყრის საერთო მტრის წინააღმდეგ. კავკასიის სულის და მისი ფიზიკის

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელთა მისიის ცნობით დონის მიმართულებით ყაზახებმა ბოლშევიკები დაამარცხეს და 28 ზარბაზანი წაართვეს.

იტალიელმა დელეგატებმა გადასწყვიტეს საზავო კონგრესი მიატოვონ თუ მოთხოვნილებებს არ შეასრულებენ.

ცმბირის არმიამ ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედების დაწყების შემდეგ 190 მილით წინ წაიწია

ლიტვის საბჭოთა ჯარმა ორიოლი აიღო.

კოლჩაკის მოახლოვების გამო ყაზანის მაჰმადიანები წითელ პოლკებს ადგენენ.

შენკურსკის მიმართულებით საბჭოთა ჯარმ, გრიშინსკოს დაიჭირა.

გაერთიანება შემუსრვულ ძლიერებად მტერს დაუდგება. ამგვარი მილიტარული კონვენცია კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა შორის რკინის ლოღიკით გამომდინარეობს ჩვენი თვითარსებობის ფაკტი და მის შენარჩუნების იდეიდან. ეს უნდა იყოს უპირველესი, თავი და თავი საგანი ყოველგვარი ბჭობა-თათბირისა ყოველგან და ყოველთვის ყველა კავკასიის ხალხთა და მათ წარმომადგენელთა შორის.

ეს არის conditio sine pua non ყველა დანარჩენ მოლაპარაკებათა, თუ შეთანხმებათა.

ამ საერთო მიზნისთვის აუცილებელ შეთანხმბას, როგორც წარსულის ფაქტებმა დაგვანახვეს და რის წინასწარმეტყველება აპრიორულადაც შეიძლებოდა, ხელს უშლიდა და დღესაც ხელს უშლილს ტერიტორიისა და საზღვრის საკითხი. რამდენადაც კავკასიის რესპუბლიკათა სამხედრო ძლიერების გაერთიანება თავი და თავი პირობაა ამ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, იმდენადვე საზღვრების საკითხის მართებული გადაჭრა პირველსა და აუცილებელ პირობას წარმოადგენს თვით ამ რესპუბლიკათა სამხედრო ძალების ერთად შესაყრელად, ერთად დასაარაზმავად. ვერ მივაღწევთ ამ საკითხის სამართლიან გადაჭრას,—ვერ მივაღწევთ კავკასიის ხალხთა შეთანხმებასაც, ვერც პატარა საქმეთა სფეროში და ვერც ძირითად კარდინალურ საკითხებზეც და შეიძლება ყველაფერიც დავკარგოთ.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ სომხობა არავითარ ზომიერებას არ იჩენს ამ საკითხში. მისი პრეტენზიები თითქოს იმიტომ იყოს შეთხზული რომ შეუძლებელი გახდეს თანხმობის ატმოსფერა საერთო მიზნით საერთო ფრონტის შექმნისა. შფოთისა და ნერვიულობის მეტს ვე რაფერს შეიტანს საერთო კავკასიურს განწყობილებაში სომხეთის ის „უდავო ტერიტორია“, რომელიც სომხეთის მთავრობას ამ უკანასკნელად შემოუხაზავს ინგლისის მისიის შეკითხვაზედ. სომხეთი უნდა საბოლოოდ გამოეთხოვოს იმ აზრს, რომ საქართველოს ტერიტორია სომხეთად შეიძლება გადაიქცეს მარტო იმ ფაქტით რომ გუშინ წინ რუსთა ბატონობას რამოდენიმე ათი ათასი სომეხი, დევნილი და აყრილი, საქართველოს მიწა-წყალზე დაუსახლებია. საქართველოს ტერიტორიის კონფიგურაცია ათასი წლობით არის გავლებული და მისი შეკვეცა-შემოკვეცა ასე ადვილად არ შეიძლება.

არასოდეს ბუნდოვანად არ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი ტერიტორიის შესახებ და დღეს კიდევ უფრო ნაკლები სურვილი გვაქვს ბუნდოვანობისა, ვინაიდან თუ ჩვენს საერთო საქმეს უშველის რამე, ეს მხოლოდ მკაფიობა და სიცხადე, მხოლოდ მართებულობა და სამართლიანობა, ამ ძირითადს—ტერიტორიის—საკითხში.

კონფერენციამ ამ საკითხს ლაპარაკში უნდა ჩაავლოს ხელი; თუ მიზანს ვერ მიაღწია, ის მაინც გამოირკვევა, რომ საერთო ხიფათისა და კატასტროფის შეგნება-გათვალისწინებაც კი უღონოა ახირებულ ტერიტორიალურ პრეტენზიებზე ხელი ააღებინოს ზოგიერთ მეზობელს ზოგიერთს მეზობლის მიმართ; მაშინ სხვა გზასა და საშუალებასა დაადგებიან ცალ-ცალკე და ყველა ერთად. თუ პირიქით, წარსულის გაკვეთილები ნაყოფიერად გამოიყენეს და ტერიტორიის საკითხი მართებულად მოგვარდა, მაშინ კავკასიის ერთა პირველი კონფერენცია გადაიქცევა დიდ მორალურ, პოლიტიკურ და მილიტარულ ძალად, რომელიც კავკასიის რესპუბლიკათა დაფიცულ მტრებსაც გაუმკლავდება და დიდ საერთაშორისო ღირებულებასაც მოიხვეჭს.

ჩვენ ვუსურვებთ კავკასიის ერთა პირველ კონფერენციას კავკასიის ხალხთა მაღალ მოთხოვნილების შეგნებამდე ასულიყოს და მართლაც და გადაქცეულიყოს კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის პირველ დამფუძნებელ კონფერენციად.

პრესა

„ერთობა“ და ბოლშევიკები.

„ერთობა“ კიდევ უბრუნდება ძველ კითხვას როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება რუსეთის ბოლშევიზმთან.

ბოლო დროს „ერთობა“ უფრო შეგარიგებელი ტონით სწერდა ამ საგანზე და შეიძლებოდა გვეფიქრნა რომ მენშევიკები ამზადებდენ ნიადაგს ახალ ორიენტაციისთვის. მაგრამ როგორც ეტყობა, ბოლშევიკებთან შერიგებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია და ბოლშევიკები სრულიადაც არ ფიქრობენ რაიმეს დათმობას; ხოლო მათი მოსვლა „ერთობას“ სრულიად სამართლიანად დამპყრობელის მოსვლად აქვს მიჩნეული და ეს სამართლიანადვე აშინებს და აფრთხობს.

ამიტომ გადაწყვეტილება ისევ ძველი რჩება და „ერთობა“ ეშზადება საბრძოლველათ. „ერთობა“ ერთხელ კიდევ ზედმეტათ კითხულობს:

„რაშია საქმეო?“-ო და სწერს:

თვით ჩვენი განმარტოვება რევოლიუციურ ბრძოლაში შედეგი იყო ბოლშევიკების ამ უმგზავსო პოლიტიკის, გაიხსენეთ თუნდ ის ფაქტი, რომ ბაქოს ბოლშევიკები თბილისს დანგრევასა და ჩვენი მენშშვიკური მთავრობის ჩამოხრჩობაზე გაჭკივოდენ მთელი წლების განშავლობაში, სანამ თვით არ გახდენ მსხვერპლი ოსმალთა ასკერების.

განა საერთო მტერი არ გვყავდა მაშინ? განა ჩვენ არ მოვუწოდებდით მათ ფრონტის გაერთიანებისაკენ შავი რეაქციის წინააღმდეგ? და რა მივიღეთ ამის ნაცვლათ? კონტრ-რევოლიუციონერებათ მონათვლა, უშვერი ლანძღვა და სასტიკი მუქარა: გაგისწორდებითო. მივიღეთ აგრეთვე უმსგავსი აჯანყებები დუშეთში და სხვაგან, როცა ოსმალთ ასკერებისაგან ბათომს ვიცავდით.

ამიტომ ჩვენი ყოფილი ამხანაგის ესენის ტკბილ სიმღერას შერიგებაზე ჩვენ ასე იოლად ვერ ვიწამებთ.

ჩვენ გვინდა საქმე და არა სიტყვა. და როცა საბჭოთა რუსეთი ასეთ საქმეს დაგვანახვებს, შეთანხმებაზე და საერთო ბრძოლაზე მაშინ დაისმის საკითხი მანამდე კი ჩვენ საკუთარი ღონისძიებით და საშუალებით შევებრძოლებით ჩვენზე მოსულ რეაქციას, საიდანაც და რა სახითაც უნდა მოგვევლინოს იგი. და ჩვენ დარწმუნებულიც ვართ, რომ მუშათა კლასი საქართველოსი, როგორც დღემდე, ისე შემდეგშიაც შესძლებს თავის რევოლიუციური გზის შენარჩუნებას.

როგორ დიდხანს შეირჩენს „ერთობა“ ასეთ მუქარის ტონს ამას მომავალი დაგვანახვებს... მენშევიკების ჯარი ჯერ კიდევ მშვიდათ არის...

დმინისტრაციის გახრწნა

ამას წინად, როდესაც ჩვენმა გაზეთმა ერთჯერ კიდევ აღნიშნა ჩვენი ადმინისტრაციის გახრწნილობის ნიმუშები, მმართველი პარტიის გაზეთმა „ერთობამ“ გაბედულად გვიპასუხა—თქვენ საერთო ფრაზებით უსაყვედურებთ ჩვენს ადმინისტრაციას, თუ გაქვთ მისი უვარგისობის ფაქტები მოგვეცით და ჩვენ ვიცით დამნაშავენი როგორ დავსაჯოთო.

„ერთობის“ ასეთმა მიკიბულმა პასუხმა არ გაგვაკვირვა. მას ასეთი ზნე მუდამ სჩვევია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მთავრობა ბოლოს და ბოლოს მიაქცევდა ყურადღებას წესიერებისა და მშვიდობიანობის დამცველთა თვითნებობას და უსაზღვრო ბოროტმოქმედებას.

ფაქტების აღნიშვნა წერილებში სრულიად ზედმეტი უნდა იყოს. ადმინისტრაციის მოღვაწეობაზე უდიდეს მასალას ეხლა საგაზეთო ქრონიკა იძლევა. ამ უკანასკნელ დროს გაზეთები მხოლოდ ასეთი მასალებით არის აღვსილი. დღე ის არ გავა რომ გაზეთებში რამოდენიმე მკვლელობის ძარცვა გლეჯის ფაქტი არ აღინიშნოს. ხოლო ვინ დასთვლის იმ შემთხვევებს, რომელნიც კომისარიატამდე ვერ აღწევენ და მათ ოქმებში არ აღინიშნებიან. თუ გვყავს ადმინისტრაცია, განა შესაძლებელია, რომ ასე მოურიდებლად, პირახდილად სწარმოებდეს მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა თბილისის ყველა ქუჩებზე? ეს კიდევ არაფერი. ამ მკვლელობათა და ძარცვა-გლეჯის მომხდენნი უმრავლეს შემთხვევაში თვით წესიერების და მშვიდობინობის დამცველნი არიან—მილიციელები. რა ზომას ღებულობს მთავრობა? არავითარს. თითქოს არაფერიაო. ჩვეულებრივ მოქალაქეთ ხოცავენ, ძარცვავენ, ეხლა უცხოელებსაც მისდგენ. ამ დღეებში შუაგულ ქალაქში, ქუჩაში გაძარცვეს ადერბეიჯანის მინისტრის ამხანაგი ბ. გაჯინსკი. მძარცველი, რასაკვირველია მილიციელი იყო. ჩვენ მინისტრებს, ალბად, ის შველის, რომ ისინი მეტად სწრაფად მავალ ავტომობილებით მოძრაობენ. მახლობელ მომავალში ჩვენმა მილიციელებმა იქნებ ისინიც ჩამოაბრძანონ ავტომობილებიდან და მათაც გაუსწორდენ ისე, როგორც ჩვეულებრივ მომაკვდავთ. სადამდის უნდა გაგრძელდეს ასეთი ვაკხანალია.

ისევ საქართველოს საზღვრებისათვის

ყოველი ერი და სახელმწიფო, როგორც ორგანიული ერთეული, როგორც ცოცხალი არსება, ემორჩილება ერთს გარდუვალ და უძლეველ ბუნებრივ კანონს: იგი გამუდმებით, შეუჩერებლივ იბრძვის ვოყელნაირი ხერხითა და იარაღით თავის ბუნებრივ კალაპოტისათვის, საუკეთესო საზღვრებისათვის.

ჩვენი წინაპარნიც იბრძოდნენ საქართველოს ბუნებრივ ქერქისათვის. ვინ მოსთვლის, ვინ არწყავს იმ სისხლსა და ძვლებს, რომელიც დაღვრილა და დათესილა ამ ბრძოლაში ჟოროხისა და მტკვრის სათავეებში, ყარსის მიდამოებში, ბამბაკის კალთებზე, სევანგის ტბის ნაპირებზე, ან წინანდელ განჯისა და შექის სახანოებში! უწინდელ საქართველოს რამდენჯერმე მიუღწევია თავის ბუნებრივ საზღვრებამდის, ხშირად ზღვის ტალღასავით წამოსულა უკან, მაგრამ ბრძოლა ერის საბედისწერო მიჯნებისათვის არ შეჩერებულა არც ერთი დღით, არც ერთის წუთით, რადგან ხან მოკლე ზავი და შესვენება მხოლოდ სამზადასი იყო ახალი ლტოლვისა და იერიშისათვის დაკარგულ მიჯნების დასაბრუნებლად.

და დღევანდელი ქართველიც, ნებსით ან უნებურად, შეგნებულად თუ იდუმალ ძალთა გავლენით, ყოველნაირი ხერხით და მთელი თავის ეროვნული ძალღონით ეძებს, იკვლევს და იმკვიდრებს თავის კალაპოტს; იგი ხორცს ასხავს იმ ანდერძს, რომელიც თავის სისხლით დაგვიწერა ჩვენთა წინაპართა მრავალმა თაობამ. ეს ანდერძი შედარებით უფრო ღრმად არის ამოჭრილი საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე. გეოგრაფია და ტოპოგრაფია საქართველოსი განმარტავენ მის საზღვრებს და მათი ეკონომიურ სტრატეგიული მნიშვნელობა ისეთივეა, როგორიც იყო ათასი წლის წინათ. ამ საზღვრებისათვის ერეკლე მეფის დროინდელი საქართველო გაშმაგებული და გამალებული იბრძოდა. მან დაიმკვიდრა ბუნებრივი მიჯნა და ხან მოკლედ შეისვენა. მაშინ ჩვენი საზღვარი მესხეთ-ჯავახეთიდან ჩადიოდა მდინარე არფაჩაიზე, უვლიდა შურაგელს, სევანგის ტბას, მდინარე ჯაგორის (ეხლანდელ ძეგამის) გაყოლებაზე ამოდიოდა მტკვარზე და აქედან ადიოდა კავკასიონის ქედზე სალავათის მთასთან. განჯა—ერევანს რომ თავი დავანებოთ, რომელნიც ჩვენი მოხარკე ვასსალები იყვნენ, საქართველოს სამეფოში ითვლებოდნენ მთელი საინგილო, ყაზახი და ეხლანდელი ალექსანდროპოლის მაზრა. როცა ჩვენმა მტრებმა მოშალეს ეს საზღვრები და დაარღვიეს ბუნებრივი ზღუდენი საქართველოსი, მისი დამოუკიდებელი არსებობაც გაუქმდა, ვინაიდგან ყოვლად შეუძლებელია არსებობა იმ ქვეყნისა, რომელსაც თითქმის ყოველ მხრივ ღია კარებები აქვს.

ქართლსა და იმერეთს სამხრეთით რამდენიმე კარი ჰკეტავს: ბორჯომის ხეობა (წინანდელი ტაშის კარი) და ზეკარის ქედი, უფრო სამხრეთით—ხანიორის ქედი, შემდეგ—არტაანი, და უკანასკნელი—ოლთისი. შარშან რომ ოსმალეთმა აბასთუმანთან და აწყურთან გაგვიელო საზღვარი, ყველა გრძნობდა, რომ ეს იყო ჩვენ წელზე მობჯენილი მახვილი, რომელსაც ორ დღეში შეეძლო საქართველოს გადაჭრა შუაზე. ეს ხიფათი აგვცდა, მაგრამ სამაგიეროდ სომხეთმა და ადერბეიჯანმა მოაბჯინეს მახვილი ჩვენს ყელსა და გულს—თბილისს, რომელსაც 60 ვერსით დაუახლოვდნენ.

გერმანელები 65 ვერსის მანძილიდან უშენდნენ ზარბაზნებს პარიზს, ხოლო თბილისიდან ლელვარის ქედამდის, სადაც სომხებს გაჰყავთ საზღვარი და შეუძლიანთ თუნდ ერთი ასეთი ზარბაზანი დასდგან, სწორი ხაზით 45 ვერსია. ჩვენ წინდაწინვე უნდა ვკითხოთ ჩვენს მთავრობას, როგორ ძოიქცევა იგი იმ შემთხვევაში, თუ სომხეთმა თავის საზღვარზე—ლელვარზე ერთი ასეთი ზარბაზანი დასდგა? ან რატომ არ დასდგავს, რაკი ასე ადვილად შეიძლება საქართველოს დამონება და დამორჩილება მუდმივი მუქარით, რომ მას ერთ დღეში შეუძლიან ჩვენი დედაქალაქის, ჩვენი გულის დანგრევა ერთი ზარბაზნით და ერთი მუჯა ჯარით!

საზღვრის ასეთი დაახლოვება ჩვენს დედა ქალაქს წინდაწინვე სომხეთს აძლევს ხელში. ზოგი თავს ინუგეშებს: თბილისს გავამაგრებთო. ვინც ჩვენს საქმეებს იცნობს, იმას ასეთი ნუგეში სასაცილოდ არ ეყოფა. თბილისის გაშაგრებას მილიარდები მოუნდება, ამიტომ ამ აზრს სამუდამოდ უნდა თავი დავანებოთ. ესეც რომ არ იყოს, პარიზი მსოფლიო ციხეა, მაგრამ ამ ციხეშ და მოკავშირეთა ჯარებმა ვერც კი აღმოაჩინეს გერმანელთა ის ერთი ზარბაზანი, რომელიც გამუდმებით უშენდა ყუმბარებს მათი ჯარის ზურგსა და პარიზს.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ერთი ხიფათიც საკმარისია ჩვენთვის. დაუჯერებელია, რომ ჩვენს მთავრობას არ ესმოდეს საბედისწერო მნიშვნელობა ლორისა, ამიტომ დაუჯერებელია ის ჭორიც, რომელიც ქალაქში დადის, ვითომ უკვე გადაწყვეტილი იყოს ლორის დათმობა. თუ გარემოება მოითხოვს, სამი ლორის ოდენა ტერიტორია შეიძლება დავთმოთ, მაგრამ ბამბაკის ქედის აქეთ ერთ ნაბიჯსაც ვერ დავთმობთ, თუნდ ამისთვის ახალი ომიც იყოს საჭირო; ვინაიდან ვისაც ლორი უჭირავს, მას საქართველოს გულიც ხელში აქვს ჩაბღუჭული. უნდა გააცოცხლებს, უნდა—არა!

საქართველოს აღმოსავლეთის ლორზე შემდეგ იყოს.

მ. ადამაშვილი.

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია. დღეს შუადღის 12 საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზე გაიხსნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელთა კონფერენცია.

ხომხეთის დელეგაციის ჩამოსვლა. გუშინ ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის ერთა კონფერენციაზე დასასწრებლად სომხეთის დელეგაცია. დელეგაციაში შედიან: სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი და იუსტიციის მინისტრი არუთინიანი.

ნ. ნ. ჟორდანიას ჩამოსვლა. გუშინ სასწრაფო მატარებლით ლანჩხუთიდან თბილისში ჩამოვიდა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია.

ექიმთა კავშირი. თბილისში დაარსდა საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირი. ხსენებულ კავშირის წესდება საოლქო სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებამ უკვე დაამტკიცა. კავშირი შეუდგა მოქმედებას.

ინგლისელ ექიმის მკვლელნი. გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ 20 აპრილს მოკლულ ინგლისელ ექიმ კაპიტან მოპოდინის მკვლელობაში პირდაპირი დანაშაული მიუძღვით ჰაიკაძესა და ჟღენტს. ამათ გარდა არა პირდაპირი დანაშაული მიუძღვით ბერძნიშვილს, ცინცაძეს, მუხაშარიას და ბარამიძეს. ამათგან ჰაიკაძისა და ჟღენტს გარდა ყველანი დაპატიმრებულნი არიან. მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე მომხდარა.

მასწავლებელთა ჯამაგირების გადიდება. ერობებმა სახალხო მასწავლებლებს 400 მან. მაგივრად ჯამაგირად 800 მან. დაუნიშნეს.

შემოქმედის მონასტრიდან გატაცებული ქონება. ოზურგეთის მაზრის კომისარმა ღლონტმა 18 აპრილს სოფელ ამაღლებაში ყარამან სიხარულიძის სახლში აღმოაჩინა ტომარაში ჩაწყობილი შემოქმედის მონასტრის ოქროსა და ვერცხლის ნივთები: გატეხილი ხატები, ბარძიმი, მიტრა და და საცეცხლური, თვლები და სხვა წონით 18 გირვანქა და 6 მისხალი. დაპატიმრებულია სიხარულიძე და სხვები. ამ გარემოებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში. გამოძიება სწარმოებს.

სხვა და სხვა ამბები

ქურდობა. საქართველოს ქუჩაზე მცხოვრებ ვაჭან აკოფიანის ბინიდან ბოროტგამზრახველებმა 15,950 მან. ოქრო-ვერცხლის ფული მოიპარეს.

დაჭრა. 23 აპრილს საღამოს თეატრის ქუჩაზე ვიღაც უცნობი დახვდა სულო-იუსუფოვს და ხანჯლით დასჭოა მუცელში.

გვამის პოვნა. 23 აპრილს მილიციონერებმა მტკვრის პირას დამხრჩვალი ქალის გვამი იპოვეს.

ყაჩაღთა ბრბოების შეპყრობა. თელავის მაზრის კომისარი არონიშიძე შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით ატყობინებს, რომ იქ შეუპყრიათ ოთხი კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო.

პარტიული ცხოვრება

კვირას, აპრილის 27, შუადღის 11 საათზე, ქართულ კლუბში შესდგება ჩვენი პარტიის თბილისელ წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც წაკითხულ იქმნება მოხსენება დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. შემდეგ კი მოხდება არჩევა თბილისის ახალი კომიტეტისა.

— ახალგაზრდების კრება. კვირას, აპრილის 27-ს, საღამოს 6 საათზე, გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში დანიშნულია ეროვნულ - დემოკრატ ახალგაზრდების კრება. მორიგი მომხსენებელია რაფიელ ინგილო. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

დამფუძნებელი კრება

აპრილის 17-ს სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალექსანდრე ლომთათიძე.**

მდივნობს ქ-ნი **ჭრისტინე შარაშიძის ასული.**

კრება იწყება ნაშუადღევის 1 ს.

ამიერ კავკასიის ბონების გამოცემის გაგრძობა.

ივ. ჭავჭანიძე მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, რომ მთავრობას გაუთავდა პარლამენტის მიერ მიცემული საემისო უფლება და ამიტომ საჭირო არის მისი გაგრძობა.

გრ. ნათაძე (ს. რ.) აცხადებს, რომ მის ფრაქციას არა აქვს საწინააღმდეგო, რომ მიენიჭოს მთავრობას ემისიის გაგრძობის უფლება. ორატორი სურვილს გამოსთქამს, რომ მმართველ პარტიამ და მთავრობამ გადადგას ნაბიჯი კოლექტიურ წარმოებისკენ რადგან კერძო ინიციატივამ ვერ გვიშველა.

დამფუძნებელი კრება სოც.-დემოკ. ფრაქციის მცირეოდენ შესწორებით იღებს კანონ-პროექტს.

1 მილიონი მანეთის სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციისთვის.

ივ. ჭავჭანიძე აღნიშნავს, რომ მთავრობას გაუდიდეთ საემისიო უფლება და საჭირო შესაფერი თანხა იქნეს გადადებული სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციისათვის.

კანონ-პროექტს სოც. დემ. ფრაქციის წინადადებით სახელწოდებათ ეძლევა დეკრეტი. დამფუძნებელი კრება დეკრეტს უცვლელად იღებს.

იურიდიულ კომისიის დადგენილება სასამართლოს განაჩენის გამო შემოსულ აზრების განხილვის შესახებ.

დ. ონიაშვილი აღნიშნავს, რომ დამფუძნებელ კრებამ დაავალა იურიდიულ კომისიას განეხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა მსვლელობა უნდა მიეცეს იმ თხოვნებს, რომლებიც შემოსული არის დამფუძნებელ კრების სახელზე და შეეხება სასამართლოს ამა თუ იმ განაჩენის შეცვლას.

იურიდიულ კომისიამ ის დადგენილება გამოიტანა, რომ ყველა ესეთი თხოვნები და შუამდომლობანი, რომელნიც შეეხებიან სასამართლოს დადგენილების შეცვლას უნდა დამფუძნებელ კრების მიერ განუხილველად დარჩენ.

იურიდიულ კომისიას სრულიადაც არ მოსვლია აზრად, რომ ამით ოდნავად მაინც შელახოს მოქალაქის უფლება. იურიდიულ კომისიამ სიმკაცრეოდ დაინახა, რომ მთავრობა ამ შოკლე ხანში შემოვიდეს დამფუძნებელ კრებაში კანონპროექტით, სადაც გარკვეული იქნება და აღნიშნული ყველა ის წესები, რომლებიც შეეხება ასეთ თხოვნების განხილვას.

იურიდიულ კომისიის დადგენილება იწვევს ცხარე კამათს. მონაწილეობენ ლ. შენგელია იესე ბარათაშვილი და გვაზავა.

ლ. შენგელია. ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ იგი წინააღმდეგია წამოყენებულ კანონპროექტისა რადგან არავითარი უხერხულობა არ იქნება, რომ ხსენებული აზრები დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა განიხილოს.

იესე ბარათაშვილი (ს. ფ.) ფრაქციის სახელით ემხრობა იმ აზრს, რომ სათანადო კანონპროექტი უნდა იყოს შემოტანილი, მაგრამ ეწინააღმდეგება კომისიის დადგენილებას. ორატორი აღნიშნავს, რომ დამფუძნებელ კრების პრეზიდუმის სახელზე შემოსული არზები იყოფა 2 ნაწილად. ერთი შეეხება სამოქალაქო საქმეს, ხოლო მეორე სისხლის, სამართლისას. ორატორის აზრით თხოვნები შეიძლება განუხილველი დავტოვოთ, მაგრამ თვიდ 2 ხასიათის განაჩენების სისრულეში მოყვანა შეჩერებულ უნდა იქნეს.

გ. გვაზავა. აღნიშნავს, რომ დამფუძნებელ კრებაში არის თავმოყრილი ყველა ძალა-უფლება და ამიტომ მან უნდა განიხილოს თხოვნები. ორატორი მოითხოვს ამისათვის საგანგებო კომისიის არჩევას.

კ. ნინიძე. (ს.-დ.) აღნიშნავს, რომ იურიდიულ კომისიას დავალებული ჰქონდა გამოეტანა დადგენილება იმ თხოვნების შესახებ, რომლებიც შემოსულია დამფუძნებელ კრებაში. და რომლებიც შეეხებიან სასამართლოს ამა თუ იმ განაჩენს. მან ეს დავალება აასრულა. რაც შეეხება იმ საკითხს თუ ვინ უნდა განიხილოს ეს თხოვნები, ეს იმ კანონებით, რომელიც ჩვენ მივიღეთ რუსეთის დროებით მთავრობისგან—ეს საქმეა ჩვენი მთავრობის.

შემდეგ ლაპარაკობს **ი. გობეჩია.** ორატორი აღნიშნავს, რომ დამფუძნებელ კრებას არ შეუძლიან პასუხი არ გასცეს შემოსულ არზებზე. პასუხის გაცემის საშუალება კი შეიძლება სხვა და სხვა იყოს, რაზედაც მაშინ დავიწყებთ ლაპარაკს, როდესაც ამაზე პრინციპიალურ დასტურს მივიღებთო.

დამფუძნებელი კრება იურიდიულ კომისიის დადგენილებას უცვლელად იღებს. კენჭის ყრის დროს ს.-რევოლიუციონერებმა თავი შეიკავეს.

სამხეთრო მოქმედების განახლება სოჭის ფრონტზე.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.** მოახსენებს დამფუძნებელ კრებას, რომ საქართველოს მთავრობამ ბრძანება მისცა სოჭის ფრონტზე მდგომ ჩვენ ჯარს გადავიდეს, მდინარე ბზიბზე და დაიკავოს გაგრის ოლქი და ჩვენი სტრატეგიული პუნქტი მდინარე მზიმთა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ სოჭის ფრონტის ისტორია ხანგრძლივია. მას შემდეგ, რაც ჩვენსა და მოხალისეთა ჯარებ შორის ჩადგნენ ინგლისელები განვლო სამმა თვემ. დენიკინს ინგლისის სარდლობისაგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ სოჭის ოლქი დაეცალა, მაგრმმ დღემდის ეს, მას არ აუსრულებია. ამიტომ მეტი დაყოვნება შეუძლებელი იყო. ჩვენი ჯარი უკვე გადავიდა მდ. ბზიბაზე. ინგლისელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

რ. არსენიძე. იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს და აღნიშნავს, რომ ეს არ არის ახალი ომის დაწყობა, ეს არის შეჩერებულ ომის განახლება და თავდასხმელ მტრის მოგერიება. ორატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს ომი აქვს არა რომელიმე სახელმწიფოსთან, არამედ დენიკინის მოხალისეებთან.

თ. ღლონტი. ფრაქციის სახელით იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. იგი მოითხოვს, რომ ბრძოლა დენიკინთან იყოს შეუბრალებელი და რომ ეს ბრძოლა აწარმოვოს ჩვენმა მთავრობამ ჩვენს სახელმწიფოებრივ საზღვარს იქითაც.

ივ. გობეჩია. (ს.-რ.) აღნიშნავს მთავრობის განცხადების მოულოდნელობას და იმ გარემოებას, რომ დამფუძნებელ კრების დაუკითხავად მთავრობამ გადადგა ასეთი ნაბიჯი.

გ. გვაზავა. ბატონებო! ჩვენ სრულებით წინააღმდეგი ვართ იმ იდეიურ მიდრეკილებისა, რომელიც გამოიხატა ფედერალისტების და სოციალისტ რევოლიუციონერების სიტყვებში ბ-ნი ღლონტი ამბობს, რომ დენიკინის ჯარი წარმოადგენს შავს

რეაქციის და უნდა არამც თუ განვდევნოთ იგი საქართველოდან, არამედ უნდა ვსდიოთო—არ ვიცით სანამდე—ალბად სანამ ბოლშევიკებს არ შევეყრებით. მეორემ, ბ-ნ გობეჩიამ პირდაპირ განაცხადა—უნდა ბოლშევიკებთან კონტაქტი დავიჭიროთო. ჯერ ერთი, მართალი არ არის ის აზრი, რომ ვითომდა დენიკინის ჯარი უსათუოდ შავ რეაქციას წარმოადგენდეს. ჩვენ ვიცით, რომ დენიკინის ჯარი შესდგება არა მარტო შავ რაზმელებისაგან: იქ არიან ბლომად კადეტები, სოციალისტ-რევოლიუციონერები (ეგრედ წოდებული „მემარჯვენენ“ მაინც) და მენშევიკებიც, თითქმის ყველა ელემენტი, ვინც კი იბრძვის ბოლშევიკების წინააღმდეგ. და თუ ეგენი შავი რეაქციაა—თქვენც შავი რეაქცია ყოფილხართ. ჩვენ ჩვენი მოქმედება უნდა დავამყაროთ არა დენიკინის ჯარის ფეროვნებაზე, არამედ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებზე. თუ გნებავთ სწორედ და რიგიანად დააფასოთ ჩვენი მთავრობის ნაბიჯი, ჩვენ უნდა მივიყვანოთ ის უდიდესი მოთხოვნილება, რომელსაც ისტორია გვავალებს. ეს გახლავთ—შექმნა თავისუფალ საქართველოსი, გამოთლა და გამოკვეთა მისი ისტორიულ საზღვრებისა. ამიტომ ჩვენი მტერია ყველა, ვინც საქართველოს საზღვრებს ემუქრება. ჩვენ ვიცით რას წარმოადგენს თვითონ დენიკინი, ჩვენ ვიცით შინაარსი იმ მოთხოვნილებისა, რომელიც დენიკინის სახელით პარიჟის კონფერენციას წარუდგინეს მილიუკოვმა, საზონოვმა, ბორის სავინკოვმა და სხვებმა, ეგენი ერთხმად მოითხოვენ ძველი რუსეთის აღდგენას 1914 წლის საზღვრებში! მაშასადამე ემუქრებიან, პირდაპირ მიზნად ისახავენ მთელი საქართველოს დამხობას. დენიკინმაც გაამართლა ეს მუქარა, იგი შემოიჭრა საქართველოში. აი სწორედ ამიტომ ჩვენ უნდა შეგებრძოლოთ იმას, მიუხედავად მისი ფეროვნებისა შავია იგი თუ წითელი. ჩვენ უნდა აღვადგინოთ და დავიცვეთ ჩვენი საზღვრები, ჩვენი ჯარის და გვარდიელის ხმალმა უნდა გამოჭკვეთოს ეს საზღვრები აშკარად, კაფიოდ და ყველასათვის დასანახავად. ეს არის მათი ისტორიული დანიშნულება.

საზოგადოდ ჩვენი საგარეო განწყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო უფლების პრინციპებზე, დენიკინი და მისი ჯარი არ წარმოადგენს რაიმე სახელმწიფოს, იმას არა აქვს ტერიტორია, ამიტომ იგი მართლა რაღაც ბრბოა და უნდა მოვეპყრათ ისე, როგორც ბრბოსა. ბოლშევიკური რუსეთი, რაც უნდა იყოს, მაინც რუსეთია და იმასთან უნდა ვიქონიოთ საერთაშორისო უფლებრივი ხასიათის დამოკიდებულება.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ სიამოვნებით მოგისმინეთ მთავრობის განცხადება. ვუსაყვედურებთ მხოლოდ იმას, რომ მას მოუხდა დიდი რყევა და ყოყმანი სანამ ამ ნაბიჯს გადადგამდა. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ამ მერყეობას მომავალში მაინც ბოლო მოეღება, რომ მთავრობა გადაწყვეტილად დადგება სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და ენერგიულად დაამთავრებს საქართველოს საზღვრების გამოჭედვის საქმეს. ჩვენ ვიწონებთ ითავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს და ყოველი ჩვენი ძალღონით მზადა ვართ მასთან ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ.

ივ. გეგეჭკორი. უპასუხებს დამფუძნებელ კრების წევრს ივ. გობეჩიას და აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობას არ დაუწყვია ომი. მას თავს და ეს უკვე მესამე თვეა, რაც ასეთი მდგომარეობაა.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იმედს გამოსთქვამს, რომ ყველა შეგნებული მოქალაქე ამ საქმეში მთავრობასთან იქნება.

დამფუძნებელი კრება იღებს ს. დ. რეზოლიუციას, რომლითაც იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

რეზოლიუციის წინააღმდეგნი იყვნენ ს. რევოლიუციონერები.

კრება დაიხურა $3^1/_2$ საათზე.

ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საუურადღებოდ

ამ დღეებში სოფელ პატარძეულის (გარეთ-კახეთი—ივრის ხეობა) ახლად აღმოჩენილი უძველესი აკლდამები დავათვალიერე. ეს აკლდამები მეორეა საქართველოში 1871 წელს ბაიერნის მიერ ათხრილი სამთავროს აკლდამების შემდეგ.

შესადარებლად დაწვრილებით დავათვალიერე სამთავროს აკლდამებიც. მგზავსება ერთია მხოლოდ სიძველით პატარძეულის აკლდამებია მოცული. სარქველები თეთრია, წმინდათ ჩასხმული. ნაპოვნი თავის ჩონჩხები—მოგრძოა, ტანის ჩონჩხები უზარმაზარი. თავი ზოგს აღმოსავლეთით ზოგს დასავლეთით უძევს. ალაგ-ალაგ ოჯახობით ჰმარხიან. აკლდამები იწყობა მცირე გორაკის ძირიდან და უჭირავს მთელი გორაკი, რომელიც ძველად სასაფლაო ყოფილა. ადგილ-მდებარეობა ჰგავს სამთავროსას: გზად. პატარა გორაკი, სივრცითაც ტოლი. ჯაგებ-ასხმული. ამოვთხარეთ სამი სამარე. განძეული მუშებს დაეტაცათ უჩვენოდ. ვიპოვეთ რამდენიმე ბეჭედი მხოლოდ.

სოფლის მდებარეობიდან სჩანს, რომ აქ ყოფილა წარმართული ქალაქი მეზობლად სატახტო უჯარმისა და კაწარეთისა რომელნიც რვა-ცხრა ვერსით არიან დაშორებულნი აქედან.

წმიდა ნინოს შემოსვლისას აქ ბინადრობდნენ სუჯნი, რომელთაც ჰდედოფლობდათ სალომე უჟარმელი—წმ. ნინოს ბიოგრაფი.

საისტორიო საზოგადოებამ თვით უნდა იკისროს აკლდამების გადარჩევა და არ გააძარცვინოს არავის როგორც მცხეთის სამთავროს აკლდამები გავაძარცვინეთ ბაიერნს.

გ. ლეონიძე.

მწვანეთი

მწვანე სოფელი, ბაღები, ეზო,
ფიქვის ფურცლებით ოდა ყავრული,—
ისე მიტოკებს გულს ანგელოზი:
ვით საქართველო და სიყვარული.

* * *

იქ სიცოცხლეა, იქ თამაშია,
იქ მიმიღია მე ზიარება;
ყნოსვა იქ მიწის მწვანე თმაშია:
ქალაქი, ნაზო, მე მეზარება.

* * *

თეთრი პეპელა ჰკოცნის იქ ნელა
მწვანე ყვავილებს, ვარდის მეზობლებს,—
და ცისნათელა, როდესაც ბნელა,
წითლად ანათებს გაშლილ ეზოებს.

* * *

იქ მზეს პირსა ჰბანს ჟუჟუნა წვიმა,
ოჰ! როს ჩაგწვდება ძილში ჩიტის ხმა,
შენ გეგონება აღდგომის წირვა
და მაშინ ალბად იქნები თანხმა,—

* * *

რომ ყვავილები და მწვანე ეზო,
შუა ეზოში ოდა ყავრული,—
ისე კარგია ოჰ! ანგელოზო,
ვით საქართველო და სიყვარული.

დავით კოპალი.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

25 აპრილი.

გერმანული პრესა

მღელვარება ჰამბურგში

სამშაბათს ჰამბურგში, როგორც ქალაქში ისე მის მიდამოებში საქმე ისევ დიდ შეტაკებებამდე მივიდა. ქუჩებში გამვლელთ თავს ესხმოდენ და სცარცვავდენ, ბრბომ ხელში ჩაიგდო თავდაცვის 2 ავტომობილი. შიგ მყოფ პოლიციელებს იარაღი აყარეს. მოხდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულია რამდენიმე და მრავალი დაჭრილია. ამ გამოსვლების გამო ჰამბურგსა, ალტონსა და ვანსბეკში საალყო წესები გამოაცხადეს. სახალხო თავდაცვის რაზმმა და პოლიციამ მკაცრი ბრძანება მიიღო რომ დაუყოვნებლივ დახვრიტონ ყველა, ვისაც კი დაიჭერენ შეიარაღებულ თავდასხმასა და ცარცვაში, ან პოლიციისა და თავდაცვის რაზმებისადმი წინააღმდეგობისათვის.

ქვანახშირის ნაკლებობა გერმანიაში

ქვანახშირის სიმცირის გამო მოსალოდნელია, რომ რკინის გზებზე მოძრაობაკიდევ შემცირდება. გალის ოლქშიაც მოძრაობა შემცირდება. კასელიდან იუწყებიან, რომ 72 მატარებელი შესწყვეტს მოძრაობას და მაინის ფრანკფურტს სამგზავრო და საბარგო მოძრაობის სრულიად შეწყვეტას საფრთხე მოელის.

ინგლისური პრესა.

მდგომარეობა მიუნხენში.

მიუნხენში საბჭოთა მთავრობა დაეცა. სამხედრო ნაწილები, რომელნიც წითელ არმიას უნდა შეერთებოდნენ, აღარ სცნობენ საბჭოთა მთავრობას: ძალა-უფლება კვლავ ჰოფმანის მთავრობის ხელშია. გამოცხადდა სამხედრო წესები.

ჰუნგრეთი.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ გადაწყვეტილია მოგერიებითი ომი აწარმოვონ ჩეხების, რუმინელების და სამხრეთის სლავიანთა წინააღმდეგ.

ჰუნგრეთში სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაცია გამოაცხადეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი გამოცხადდნენ, რადგანაც გლეხებს აწუხებს საბჭოთა მთავრობის არსებობა.

გერმანელების დელეგატები

გუშინ საღამოთი გვიან მარშალ ფოშმა გერმანიიდან ტელეგრაფით პასუხი მიიღო იმ დეპეშაზე, რომელიც კვირას ოთხთა საბჭომ გაუგზავნა გერმანიის მთავრობას და აუწყებდა, რომ თუ დელეგატებათ ბნელი პირები გამოგზავნეს ისინი არ სცნობენ მათ. დელეგატებს უნდა ქონდეთ რწმუნება და უფლება საზავო პირობების ხელმოსაწერათ. გუშინდელ დეპეშაში ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგაცია შესდგება 6 მაღალი თანამდებობის პირისაგან. დელეგაციის თავმჯდომარეთ იქნება გრაფი ბროკდორფ რანტცაუ. დელეგაცია მომავალ ორშაბათზე ადრე არ ჩამოვაო.

ამნაირათ, გერმანელების გეგმა ვერ განხორციელდა, თუმცა საქმე მაინც შეაფერხეს. ამის გამო საზავო ხელშეკრულებას შაბათის მაგიერ ორშაბათს წარუდგენენ გერმანელებს. ფიქრობენ, რომ ამ კვირაში კონფერენციის რამდენიმე სხდომა მოხდება მომავალ კვირის ამბებისათვის მოსამზადებლათ.

მფრინავის დაღუპვა.

საფრანგეთის ცნობილი მფრინავი ვედრინი, რომელიც პარიზიდან რომში მიფრინავდა, გუშინ მონსის ახლო მოკვდა. პარიზიდან აფრენის შემდეგ გავიდა 4 საათი, რომ გამოურკვეველ მიზეზების გამო მანქანა ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

ციმბირის არმია.

ციმბირის არმიამ ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებიდან 190 მილით წინ წაიწია. უკანასკნელათ ციმბირის არმიამ მდ. კამაზე აიღო სარაპული, რომელსაც ბოლშევიკები მედგრათ იცავდენ.

დღესასწაული საფრანგეთში.

საფრანგეთის მთავრობა ორშაბათს აპირებს დღესასწაულის გამართვას, როცა ადმირალი სერ დავიდ-ბიტი 100 ოფიცერის და 1000-ზე მეტი მეზღვაურის თანხლებით პარიზში ჩამოვა. დღისით „ინვალიდების სასახლე“-ში მას ზეიმით მიიღებს სამხედრო გუბერნატორი. შემდეგ ოფიცრები როგორც საპატიო სტუმრები ინახულებენ პრეზიდენტს და დაესწრებიან ოპერაში საგანგებო წარმოდგენას.

ზედრედნოუტი.

იუწყებიან, რომ ზედრედნოუტს „ტენესი“-ს რომელიც მთელ მსოფლიოში უდიდესი გემი იქნება, ბრუკლინში ჩაუშვებენ წყალში. მისი წყალწყვა 32,300 ტონაა და შეიარაღებული 12 თოთხმეტ დიუმიანი ზარბაზნით.

ინგლისის მუშათა კლასი

პარიზიდან იუწყებიან, რომ ბეატრისა ფორბს რობერტსონმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ ბრიტანიის მუშათა პარტია არას დროს არ აყვება ბოლშევიზმს. დიდ ბრიტანიაში აზრათაც კი არ მოსდის არავის რევოლუციის მოხდენა; რეფორმები ისე გატარდება რომ წესრიგი [illegible] რევოლუციონური პროცესი [illegible] ჩატარდება, თანდათანობით იქნება გადადგმული ნაბიჯები, რადგან ხალხმა ომის დროს შეიგნო თავის ძლიერება.

გენ. რობერტსონი.

გენერალ უილიამ რობერტსონი კელნში ჩავიდა, რათა რეინზე მყოფ ინგლისის ჯარის სარდლობა გასწიოს.

გადაფრენა ატლანტიაზე.

ატლანტიის ოკეანეზე განძრახული გადაფრენა 2 კვირით გადაიდო. ნიუფაუნ დლენდში ხელის საწყო ამინდია მაგრამ ცნობებია, რომ ატლანტიის ოკეანეზე მოსალოდნელია უამინდობა.

26 მაისის ბარშემო

სამუსიკო სექციის საყურადღებოთ.

დამფუძნებელი კრების „ხელოვნების კომისია“ კიდეც შეუდგა მუშაობას რათა ღირსეულად აღნიშნოს საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი. კომისიამ ყოველ ხელოვნების დარგის წარმომადგენელი დაჰყო სექციებათ, რომლებიც დღიურ გეგმას შეიმუშავებენ.

ჩვენ მივმართავთ სამუსიკო სექციას თხოვნით, რომ მიიღოს ჩვენგანაც ყოველი ცნობა და მასალა, რადგანაც ეს ზეიმია სრულიად ქართველი ერისა და ყველას მოვალეობას შეადგენს დახმარება გაუწიოს თავის შეტანილ წვლილით.

სასურველია, რომ სამუსიკო სექციამ მიუდგომელი და ფართე პროგრამით გააშუქოს ქართველ ერის მუსიკა. ამისათვის უნდა შესრულდეს ყველა კომპოზიტორების და ხალხური ნაწარმოებები.

იმედია, სამუსიკო სექცია მხედველობაში მიიღებს, რომ 1 სექტემბერს 1918 წ. გაიმართა „ჰიმნთა შეჯიბრება“ მონაწილეობას იღებდნენ კონკურსის კომისია: კომპოზიტორი მელ. ბალანჩივაძე (თავმჯდომარე), მთავრობის წარმომადგენელი ა. აბაშელი, პარლამენტის წევრნი: რ. არსენიძე, ვლ. მგელაძე, კ. მაყაშვილი (სახელოვნო სექციის თავმჯდომარე), პ. წ. ალ. ახმეტელაშვილი (სახელოვნო კომ. მდივანი), კომპოზიტორი ნ. ჩერეპნინი, კომ. ზ. ფალიაშვილი, პროფ. ბ. ლევიცკი და ნ. ქართველიშვილი. ამასთანავე კონკურსს დაესწრო აუარებელი საზოგადოება და დიდის ყურადღებით ისმენდა ყოველ ახალ სიმღერას.

შესრულებული იყო: № 1—ვინ-იანიანი № 2—კ. დოდაშვილი, № 3—პალიტრა, № 4—ვ. დოლიძე, № 5—კ. მაღრაძე, № 6—ლეონიძე, № 7—კ. ფოცხვერაშვილი, № 8—ფარნაოზი, № 9—იმედი, № 10—ნინოწმინდელი, № 11—ავთანდილი.

ჩვენი დროის კოგუნისტი

(მოთხრობა).

შებინდებისას კარებს ჰკეტავდენ, სანათურებს აქრობდენ და, შიშით გარემოცულნი, სიზმარივით, უხმოთ დაცურავდენ უსინათლო ოთახებში. ფანჯარასთან მისვლა სახიფათო იყო.

„პახ!—აქ, „პახ!—იქ; „პახ, პახ!“.. და ასე განუწყვეტლივ, განუწყვეტლივ... ეს იყო „ვინტოვკის“ ნაცნობი ხმა, საშინელი და საზარელი როგორც სიკვდილი.

წინა ღამით ციხის უბანში ვიღაც ქალწული გაუპატიურეს, სადღაც დუქნები დაძარცვეს და, როცა იმ პატარა ქალაქს თავზე დაათენდა, ერთს ვიწრო ქუჩაზე ბევრმა ნახა ყელ გამოჭრილი ადამიანი. სახე დაცხავებული ის მხოლოდ ჯიბეებ გადმობრუნებული ტანისამოსით იცვნეს...

ქალაქის განაპირას სადაც ქართული პოლკი ბინადრობს, გაცხარებული შზადებაა: იარაღის საწყობი გასტეხეს და მიბქვთ ვისაც რამდენი უნდა. ამბობენ: ხუთასი თოფი მთებიდან ჩამოსულმა მეზობლებმა შეისყიდესო. თითო ოროლას თბილისისაკენაც მიაჰარებენ. დიდი ფასი ჰქონია შაითანბაზარზე...

გაზაფხულია. წყნარი, თბილი და ხალისიანი. დილის ჩინჩხალა მზე უხვად ეფრქვევა ქალაქის ქუჩებს, ფერადობს ბაღებში და ჭრელ-ჭრელა ყვავილებზე სხივებს აცელქებს. შუადღისას ყაზარმის ეზოდან გამოდის ერთი ახალგაზდა ჯარისკაცი. დაბალი ტანიანი, სხვილი და ჩასკვნილი. განიერ მხარეზე კონდახიანი „მაუზერი“ ჰკიდია. მცირე ხნით ეზოში შეჩერდა, ჯიბიდან სარკე ამოიღო, თითები უხვად დაინერწყვა, ჩაავლო ნახშირით შავ ულვაშებს და ყალყზე დააყენა; მერე ქოჩორიც გადივარცხნა, ჰაიკეთა რიხიანი სახე და, თითქო მიცურავსო, მეგრული კოპწია ტანის რხევით გაუდგა ბაზრისაკენ მიმავალ შარა გზას.

ეს ჯარისკაცი გახლავთ აჯანყებულთა მეთაური და სულის ჩამდგმელი გაიოზ წურწუმელია. ამ ბოლო ხანებში უგზეთოდ ვერ დაინახავთ. აი, ახლაც მიაფრიალებს მრისხანე წერილებით სავსე პაწაწინა „ბრძოლას“ და, ცდილობს ყველას გააგებინოს რომ ის, გაიოზი, რაღაც ახალი პარტიის კაცია...

ფოსტის ახლო ეტლი გააჩერა, ჩაჯდა, ფეხი ფეხზე შემოიდგა და ასე გაძახა მაზარა გახუნებულს:

— გასწი, ამხანაგო!

პატარა, კვერცხივით რგვალმა ცხენებმა ბაკი-ბუკით გაინავარდეს მოსეირნე ხილხით სავსე მზიან ქუჩებზე. გაიოზი კი ხან ერთ თეძოს წამოაწვება, ხან მეორეს. იგი ოცნებამ გაიტაცა.

აი მოდიან ქალწულები. მოკლე კაბებ ქვეშ მწყობრათ ირხევიან შნოიანი ფეხები. სილამაზე, ახალგაზრდობა, უდარდელი სიცილი. ვაჟები კვალ და კვალ მოჰყვებიან.

— შეხეთ!—ჯავრობს წურწუმელია—ესენიც გამომზეურებულან რაღა. ბურჯუაძები! ბედნიერი ხალხია... იმხიარულეთ, იკუნტრუშეთ და მშობლებიც გამოიწვიეთ გარეთ, რომ უკანასკნელათ გადაყლაპონ სუფთა ჰერი, თორემ ხვალ თქვენი განკითხვის დღეა. აქ, აი აქ რომ „პულემიოტრებს“ ავატიკტიკებთ, ვნახოთ რა ვაჟკაცები ხართ... ხო, ხო, ხო! კორიანტელი კი იქნება! ეს ფართლეულობის დუქნები რახ, რახ, რახ.., ის საათების მაღაზია, სადაც გაბერილი ურია დგას ლიწ... ლიწ... წკრრრ... არც ზინგერს დააყრიან ხეირს ჩვენი ბიჭები. თუ კი—თუ კი ამ ოხრებმა თბილისიდან ძალა არ მოგვისიეს. მაგრამ არაფერია! ორ-სამ საათში ხიდს ავაფეთქებთ, რკინის გზას ავშლით და მთელ ამ კუთხეში ნამდვილ „სალდაცქი რესპუბლიკას გამოვაცხადებთ“.

ეტლი გავიდა მთავარ ქუჩაზე.

— ეს ვინაა? ჰოხ! ჰოხ! როგორ მოკუდრაჭობს! როგორ მოკუდრაჭობს! შეხეთ რა პირლამაზია ეგ ღვთისგან წყეული. ან რა გააფუჭებდა? დილ-დილობით კარგი შემწვარი მწვადები, დროზე ძილი, უსაქმობა. ნეტავი ახლა საით მიფრინავს? ჩვენ ხომ არ შემოგვხედავს, უთუოდ აფიცერს დაეძებს... ა, თუ ტყუილია!.. გაუცინა. რა ეშმაკურათ გაუცინა! ეს პრაპორშჩიკი ჩინდრიკაძეა,—დეზებს მოარაწყუნებს. შეჩერდენ. მკლავი მკლავში. მოკლე ნაბიჯები... ვა, დედასა, მოკვდეს გაიოზი თუ „მაცა-მაცა“ არ გაძახოთ.

— ხაბარდა! ხაბარდა!—

ეტლი კინაღამ დაეჯახა კალათიან დედაბერს.-ზედი-ზედ ჩაიქროლეს მოქეიფე ჯარისკაცებმა. დოლის რახრუხი, დუდუკის ჭიჭყინი.

— გააჩერე! გააჩერე!—უძახის გაიოზი თავის მეეტლეს. ეტლი შედგა.

— გმადლობ, ამხანაგო, თავისუფალი ხარ.—მიდის.

— კი, ბატონო, მაგრამ... ფული? 3 მანეთი მერგება.

ჯარისკაცი, თითქო გულმოსულიაო, შეუტევს:

— როგორ?.. ჯერ ერთი სადაური ბატონი ვარ! ა? ბატონობა რომ მოვსპეთ, გეძინა მაშინ? მეორეჯერ არ წამოგცდეს მაგ სიტყვები, გესმის?

— უკაცრავათ, ამხანაგო!

— ვოტ ასე, ამხანაგო. მერე, ძამია, ფულს რომ მთხოვ, საიდან მექნება. 3 წელიწადია სისხლს ვღვრიდი ბრძოლის ველზე და საჩუქრათ ჰა, რა მივიღე! (გადმოატრიალებს ცალიერ ჯიბეებს) ჩვენი უფროსები კი ყელამდე გაძღენ, გასუქდენ, გასივდენ და დღეს აქ დაბრძანდებიან. გესმის? ჰო და თუ კი გესმის შენც შეგნებული ყოფილხარ ჩემო ძმობილო. სალდათს თუ ფული აქვს, თვითონ მოგცემს, ხვეწნა რათ უნდა. სამაგიეროთ ბურჯუაძეს „ტრაინოი“ გადაახდევინე. ხომ იცი, ამხანაგო, სალდათის გარდა დღეს ყველა ბურჯუაა. ზავოდის მუშა 8 საათში ოთხ თუმანს არ ჯერდება და კიდევ მეტი მინდაო, იძახის. არც სოფლის კაცს უჭირს იმდენი. ფუთ ქვილში 100 მანეთი მიაქვს ოჯახ დაქცეულს. ვიკითხოთ მხოლოდ ჩვენ, საწყალმა სალდათებმა. ვირის მუშა ვართ,..

გაიოზ წურწუმელიას იქნებ კიდევ ბევრი ელაპარაკნა მაგრამ ბრაზმორეულმა მეეტლემ მუშტრის ჟინი ისევ უდანაშაულო ცხენებზე იყარა: ზედი-ზედ გადუჭირა მწარე შოლტი და გაშორდა იქაურობას.

ჯარისკაცი შეტრიალდა მარცხენა ქუსლზე და შეაღო სავაჭრო დუქნის კარები.

— გამარჯობა, ამხანაგო!

— გაგიმარჯოთ!—მიუგო შემოსულს კოხტად ჩაცმულმა ნოქარმა.

— მაკრატელი გაქვთ? კარგი მაკრატელი.

— რატომ არა... აი ნახეთ. ნამდვილი ფოლადია!

— რა ეღირება?

— თერთმეტი.

გაიოზმა ამოხიკა უბის წიგნაკიდან 11 შაური და იქვე დააწყო. ნოქარს გაეცინა.

— თერთმეტი შაური კი არა—თერთმეტი მანეთი!

რაო! შეყვირა გულმოსულმა,—გაგიჟდი? აბაზიან მაკრატელში თერთმეტი მანეთი მოგცე? სამი წელიწადია სისხლს ვღვრიდი. ბრძოლის ველზე და ამდენი ფული ერთად არ მინახავს... რას იღრიჭები ყველის ვაჭარივით? შენ, ძმაო, შაირზე ხომ არა ხარ? ა? ჰო მითხარი! თუ, მოგენატრა... წურწუმელია თანდათან ფიცხდება. ნოქარიც დავიდარაბის თავიდან ასაშორებლათ უეცრად ხუთ მანეთზე ჩამოდის მარა საქმე მაინც მოულოდნელათ ბოლოვდება: ახირებული მუშტარი ფულსაც მიირთმევს და მაკრატელსაც, ხოლო გარე გასვლისას კარს ისე მოაჯეჯგვებს, რომ დამსხვრეული მინა წკრიალით ძირს ჩამოდის.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქუჩის სცენები ზოგს სიცილს გვრიდა, ზოგსაც სირცხვილს მწარე ოფლს. გაიოზ წურწუმელია რამდენიმე ძმა-ბიჭის თანხლებით აჩერებდა გზად მიმავალ ოფიცერს და დინჯად, აუჩქარებლათ ჩინებს აჭრიდა. სულ რაღაც ნახევარ საათში 25 წყვილი ჩინი მოეგროვებია. ამათში თორმეტზე თითო ვარსკვლავი ბრწყინავდა. დანარჩენებზე კი ორი, სამი და ოთხი. მაგრამ გაიოზს ესეც არ აკმაყოფილებდა. იგი გაფაციცებით დაეძებდა კაპიტნებს. ერთიც ვნახოთ თვისი კეკლუცით მოცურავს პრაპორშჩიკი ჩინდრიკაძე. გაიოზს თვალები უფართოვდება... მოუახლოვდენ.

— მოითმინეთ, ამხანაგო, თქვენთან საქმე გვაქვს;

ოფიცერი შეჩერდა. ქალწული დაფრთხა და კინაღამ მოკურცხლა.

— თამარა; აფთიაქთან მომიცადე, ამ წუთას მოვალ. აქ, ამხანაგთან, ორი სიტყვა მაქვს სათქმელი.

— სიტყვა რა შუაშია! ჩინები უნდა მოიძრო, მორჩა და გათავდა!

ასე დაადგინა ჩვენმა არგანიზაციამ. ეუბნება განცვიფრებულ ჩინდრიკაძეს მაკრატლიანი.

— კი, მაგრამ... მეეეც„!

— ჰო, დიახ, შენც. აი, ხედავ, რამდენს ჩამოვაჭერი?

ჩინდრიკაძე გაფითრდა, დაიბნა. ჩინების მოჭრას მას სიკვდილი ერჩია. სახლში, ან სადმე საიდუმლოდ რომ მომხდარიყო კიდევ ჰო, მაგრამ ქუჩაზე... ვაი სირცხვილო! ვაი სირცხვილო და, თანვე, მშვიდობით თამარას სიყ...

— რას ფიქრობ, კმარა ამდენი ცდა!—ცხარობს გაიოზი—ხალხი გროვდება... შენ კი მოხუცო! რას იწერ მაგ პირჯვარს?

ასე გონია, კაცს ჰკლავენო. ჩაიარე!

— ამხანაგო!—დაიწყო მიმქრალის ხმით ოფიცერმა,—მე ვფიქრობ საიმისო არაფერი დამიშავებია. მე... ტრაბახი არ ვიცი და.., თუ დამიჯერებ, ამხანაგო, მე...

მე თვითონ სოციალისტი ვარ. ცხრა თვეს ვიჯექი ციხეში.

— ცხრა თვესო! ხე, ხე, ხე!.. დაბადებამდი არა? დედის მუცელში. ო, იმ ციხეში ბებიაჩემიც მჯდარა ცხონებული.—

ირგვლივ იღიმებიან. ვიღაცას სიცილიც წასკდა. ოფიცერი მიხვდა თავის სიტყვის უხერხულობას და სირცხვილის სიწითლემ ყურებამდე დაფარა მისი ბავშური სახე. გაიოზ—წურწუმელია კი ამხანაგების ხითხითით წათამამებული მისწვდა ჩინდრიკაძის ჩინებს. ეს ისე მოულოდნელათ მოხდა. პრაპორშჩიკი მწარის ღიმილით დაყურებდა ჯერ მარჯვენა მხარს, მერე მარცხენას, სანამ აჭრიდენ და, მალე განთავისუფლებული, ის ნისლივით გაიპარა სახლისაკენ. იქ, თავის ოთახში, მწარედ დანაღვლიანებული ყმაწვილი წყევა-კრულვას უთვლიდა ჯარს, ხალხს, მთავრობას, რესპუბლიკას, ერთი სიტყვით მთელ ქვეყანას...

თამარი დიდ ხანს უცდიდა მას აფთიაქთან და როცა აღარაფერი ეშველა, გაგულისებულმა მალე მონახა ნაცნობი „შტაცქი“ და ჟორჟიკას გულის მოსაკლავათ მკლავში მკლავ გაყრილმა ისევ განაგრძო სეირნობა.—

ივ. ი—ანი.

(დასასრული იქნება).

კონკურსის კომისიამ რა მოისმინა ყველა სიმღერები, ცალკე ოთახში იქონია მსჯელობა ერთი საათის განმავლობაში, რომლის შემდეგაც საჯაროთ გამოაცხადა „კომისიამ მოისმინა თერთმეტი ნომერი და არც ერთი მათგანი არ არის ცნობილი ჰიმნად (მხურვალე ტაში ხალხისა), მხოლოდ საუკეთესო და მხატრულ თხუზულებად მიღებულია № 11, № 8, და № 3.“ რამდენჯერმე იყო განმეორებული № 11—ავთანდილი, რომლის ავტორიც აღმოჩნდა კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი.

მეტად სასურველია, რომ ამისთანა ნიჭიერი კომპოზიტორი, როგორიც ნ. სულხანიშვილია ამ დროსთვის მოწვეული იყოს.

ამ 26 მაისს უნდა შესრულდეს: დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის, ნ. სულხანიშვილის, ა. ყარაშვილის, კ. ფოცხვერიშვილის თხუზულებები, რომ ჩვენ ზეიმს და მუსიკას მიეცეს ქართველური თვისება.

ილიკო აბაშიძე.

საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელი

საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის წესდება მთავრობამ დაამტკიცა ამა 1919 წლის 5 აპრილს.

1. არტელი ისახავს მიზნათ მისცეს როგორც მთავრობას, ისე სხვა და სხვა საზოგადო და კერძო დაწესებულებათ მრავალგვარ თანამდებობის აღმასრულებელნი პირნი: ბუჰგალტრები, მათი თანაშემწეები, მოანგარიშეები, ხაზინადრები, მოლარეები, ფულის გადამტანნი, საქონლის საწყობის გამგენი და სხვანი.

2. არტელი მოქმედობს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხედველობის ქვეშ.

3. არტელი პასუხის მგებელია მრწმუნებლების წინაშე მთელი თავისი თანხებით და ქონებით და აგრეთვე თვისი წევრების ერთი მეორის თავდებობით.

4. არტელში ჩაწერა შეუძლიათ ორივე სქესის პირთ განურჩევლად ეროვნებისა არა ნაკლებ 20 წლისა და არა უმეტეს 40 წლისა (40 წლისა ზევით წევრი შეიძლება მიღებული იყოს საერთო ყრილობის დადგენილებით). წევრი ფიზიკურათ უნაკლო უნდა იყოს.

5. ყველა წევრმა უნდა იცოდეს სახელმწიფო ქართული ენა.

6. არტელში არ შეუძლიათ ჩაეწერონ წევრებათ ღირსება ახდილთ, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფთ და არტელიდან გამორიცხულთ.

7. არტელში შესვლის მსურველი გამგეობას განცხადებას აძლევს და თან მეტრიკულ მოწმობასა და სხვა საბუთებს არტელის გამგეობის შეხედულებით ახდენს.

8. განცხადებაზე ხელს უნდა აწერდეს არტელის ორი წევრი, რომელნიც თავდებათ უდგებიან და პასუხს აგებენ მის სიპატიოსნესა, კეთილსაიმედობასა და ფიზიულ ყოფაქცევაში.

9. ახლად შესული არტელის წევრი ვალდებულია გადაიხდოს: 1) სათავდებო თანხა, 2) სარეზერვო თანხა, 3) სატრიალებელი თანხა და საინვენტარო თანხა.

10. ამა წლის 13 აპრილის დამფუძნებელმა საერთო ყრილობამ განსაზღვრა თითეული წევრის ოთხივე ზემოთ აღნიშნული თანხაში შეშოსატანი 10.200 მანეთით. მათ შორის სათავდებო თანხაში 8.000 მან., სარეზერვო თანხაში 1.000 მან., სატრიალებელი თანხაში 1.000 მან. და საინვენტარო თანხაში 200 მან.

11. თუ წევრმა არტელს თავი დაანება, მას შეუძლია თავის თანხები უკან დაიბრუნოს სათანადო ხარჯების გამოკლებით. წევრს არ უბრუნდება მხოლოდ საინვენტარო თანხა 200 მან.

12. თითოეული წევრი წლის ბოლოს იღებს მონაწილეობას არტელის მოგებაში.

13. რომ წევრს გაუადვილდეს ზემოთ აღნიშნული 10.200 მანეთის შემოტანა, დამფუძნებელმა წევრთა საერთო ყრილობამ დაადგინა: წევრად ჩარიცხვის დროს შემოტანილ იქმნას 3.200 მან. ნაღდად, ხოლო დანარჩენი 7.000 მან. ნაწილ ნაწილად სამსახურში მიღებულ ჯამაგირიდან 10%-ის შემოტანით.

14. თუ დაწესებულებას ან კერძო პარს სურს იყოლიოს რაიმე თანამდებობაზე არტელის წევრი, ის დამოუკიდებლად განცხადებით მიმართავს არტელის გამგეობას. ითვალისწინებენ რა მრწმუნებელთა საერთო პირობებს, გამგეობას და სათათბირო სარევიზიო კომისიას გამოაქვთ შესაფერი დასკვნა; შემდეგ გამგეობა აძლევს მრწმუნებელს ხელშეკრულობას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ არტელი კისრულობს განსაზღვრულ დავალებათა და საქმეთა შესრულებას სათანადო პასუხისმგებლობის ქვეშ.

15. რომ არტელიდან გაგზავნილნი პირნი საქმის ნამდვილი მცოდნენი იყვნენ და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდენ, ამისათვის არტელთან არსდება საკომერციო კურსები მაღალი და დაბალი ტიპისა. კურსებზე ლექტორები ლექციას იკითხავენ ქართულ ენაზე.

პარტახტიანი ან შავი სახადი

(Typhus exanthematicus)

(დასასრული)

ნერვების მოშლილობა.

დამახასიათებელია პარტახტიანი სახადისთვის სწრაფი მოქმედება ნერვებზე; თავის ტკივილი და თავბრუს ხვევა პირველ დღიდანვე იცის. ავადმყოფი სრულ გონებაზე არ არის და ბოდავს, ხან-კი ლოგინიდამ იწევს და გარედ გარბის; ხშირია უძილობა, რაც ავადმყოფს ასუსტებს. თუ მდგომარეობა უფრო გაძნელდა, ავადმყოფი სულ ბურანშია, ძილისაგან ვეღარ ერკვევა და შარდზე და განავალზე გასვლას ვეღარ იგებს.

სიხლის მიმოქცევის სისტემა

მაჯა წამში 120-ჯერ უცემს; მეორე კვირას, როცა ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი, მაჯაც უსწორ მასწოროა და დუნე.

ხუნთქვის ორგანოები

ყიასა და ყანყრატოს ლორწო პირველსავე დღეს ისე ძლიერ არის დაწითლებული, რომ ანგინა, ან ყელის ანთება ეგონება მნახველს. ანთება გადადის სასულე მილებზე, რასაც ხველა და ხრინწიანი ხმა მოსდევს. ცხვირის ლორწოს ანთებაც იშვიათი არ არის. ხან ფილტვებიც ვერ გადურჩებიან ხოლმე და მეორე კვირის დამლევს ფილტვის ანთება ჩნდება.

საზრდოობის ორგანოები

ენა მშრალია და მუქყვითლად გადალესილი, მადა დაკარგულია, წყლის წყლრვილი ავადმყოფს დიდი აქვს; გულის რევა იშვიათია; პირველ კვირას სიყაბზე ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო მეორე კვირას ხანდახან ფაღარათობა იცის. მუცელი მგრძნობიარეა ხელის დაჭერაზე. ელენთა მე-3—4-ე დღიდან გადიდებული და მტკივნეულია; იგი ცხრება მეორე კვირის დამლევს; ღვიძლი უცვლელად რჩება.

გრძნობის ორგანოები

ყურთ დაკლება ჩვეულებრივი მოვლენაა პირველი დღეებიდანვე და უფრო კი მერვე, მეცხრე ღღიდამ; რჩენაში შესულ ავადმყოფს სმენა თანდათან უბრუნდება; ხშირია თვალების სიწითლე.

გართულება

პარტახტიან სახადს უფრო ხშირად ზედ დაერთვის ხოლმე ფილტვის ანთება, ყბა-ყურა, ყურის ტკივილი, თირკმლების ანთება და სხვ.

გადაგვარებული შავი სახადი

მძიმე სახადი, რომელსაც სისხლის გამოღვრა სდევს თან, მალე ჰკლავს ავადმყოფს. ზოგჯერ კი სახადი იმდენად მსუბუქია, რომ 6—8 დღეზე თავდება, სიცხეც ნაკლები იცის. ასეთი სახადი უფრო ბავშვებსა და მაგარი აგებულობის პატრონებსა სჩვევიათ და ისიც ეპიდემიის თავსა და ბოლოში. უპარტახტო სახადი ზევით მოვიხსენიეთ. პარტახტიანი სახადით მკვდარი ადამიანის სხეულში ვერ პოულობენ ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ამ სახადს ახასიათებდნენ და მის ნიშნობლივ თვისებებს შეადგენდნენ.

რა მოელის ავადმყოფს

შავი სახადი მძიმე და საშიში ავადმყოფობაა; 10—20 პროც. ავადმყოფებისა კვდება, ხანკი გაცილებით მეტი, მეტადრე ომიანობის და შიმშილობის დროს. რა მოელის ავადმყოფს? ამის გათვალისწინებაში გვშველის ეპიდემიის ხასიათის ცოდნა. ზოგი ეპიდემია კეთილი თვისებისაა, როგორიც არის მაგალითად შავი სახადის ეხლანდელი ეპიდემია, ზოგი კი ავზნიანია. ეპიდემიის ხასიათსაც აქვს ამ მხრივ მნიშვნელობა; დასაწყისში და დასასრულში ავადმყოფობა უფრო მსუბუქად მიმდინარეობს, შუა ხანაში კი ავადმყოფობის შხამი ძლიერდება. იმის გამოცნობაში თუ რა მოელის ავადმყოფს, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თვით ავადმყოფის ჯანმრთელობას, მის აგებულებას და წლოვანობას. რაც უფრო მაგარი აგებულობისა და ჯანმთელი იყო ადამიანი ავადგახდომამდე, იმდენად იგი უფრო ადვილად იტანს ავადმყოფობას.

შიმშილით ან მეტისმეტი შრომით დასუსტებული სხეული ცუდ იმედებს იძლევა მორჩენისას. ლოთობით დაუძლურებული სხეული ვერ უძლებს სახადს; ფეხ მძიმე ქალებიც ძნელად იტანენ სახადს. შემჩნეულია, რომ განათლებული, გონებით მომუშავე ხალხი უფრო ვერ იტანს შავ სახადს. წლოვანობასაც აქვს მნიშვნელობა: ბავშვები ადვილათ ხდილობენ სახადს; რაც უფრო მრავალ წლოვანია ადამიანი, იმდენათ უფრო ძნელია მისთვის სახადის გადატანა. ამის მაჩვენებელია შემდეგი სტატისტიკა:

წლოვანობა	პროცენტი სახადით გადაცვალებულთა.
10—25	7
30—35	17
40—45	30
50—55	52
80 წელს ზევით	100

ქალები კაცებზე ადვილად იტანენ შავ სახადს. ცუდი ნიშნებია შარდის დაუჭერლობა და სიყვითლე ან სხვა რამე ავადმყოფობის ზედ დართვა, ან გართულება ავადმყოფობისა ფილტვების და თირკმილების ანთებით. შემდეგ, ავადმყოფის ბედი მოვლაზე ჰკიდია. საცა მოვლა კარგია, სისუფთავე დაცულია და ავადმყოფი კარგ ჰიგიენურ პირობებშია ჩაყენებული, იქ მისი მორჩენის იმედი უფრო მეტია.

გამოცნობა ავათმყოფობისა.

ავადმყოფობის გამოცნობა შეიძლება, თუ ყველა ზემო აწერილ ნიშნებს და ავადმყოფობის სურათს კარგათ გავითვალისწინებთ. ეპიდემიის დროს პარტახტიანი სახადის გამოცნობა უფრო ადვილია, ვიდრე მის გარეშე, როცა სახადი თითო ოროლა გვხვდება. ჩვეულებრივ, პარტახტიან სახადს მუცლის სახადში ურევენ. რით განირჩევა შავი სახადი მუცლის სახადისაგან? შავი სახადი უცბათ იწყება და მისი სიცხე მეორ-მესამე დღეზე უკვე უმაღლეს წერტილს აღწევს; მუცლის სახადი კი თან და თანობით იწყება, სიცხეც ნელ ნელა მატულობს და უმწვერვალეს სიმაღლეს მხოლოდ მეათე დღეზე აღწევს. შავი სახადის ტემპერატურის ქანაობა, აწევ-დაწევა ნახევარ გრადუსს არ აღემატება და განელების დროს 48 საათის განმავლობაში დონემდის ჩამოდის! მუცლის სახადის ტემპერატურის ქანაობა ხან ერთ გრადუზედაც მეტია და სიცხის განელების ხანაც ხანგრძლივია, არა ნაკლებ ერთ კვირისა.

პარტახტი იცის მუცლის სახადმაც, მაგრამ მისი პარტახტი ამობურცული, ტყავს ამოცილებული და შემოზღუდულია; წინწკლები აქა იქ სხედან ზურგისა და მუცლის ტყავზე, იშვიათად იცის ხელფეხზე და არასოდეს ხელისა და ფეხის გულებზედ, თითის დაჭერაზე ჰქრება და თითს რომ მოაცილებ ისევ გამოჩნდება. შავი სახადის წინწკლები ტყავ ქვეშიდამ გამოიყურებიან და ამობურცულები არ არიან, უფრო მუქი წითელი ფერი აქვთ, რადგან წინწკლების ადგილას ტყავში სისხლია გამოღვრილი; ამიტომაც თითის დაჭერით ისინი არა ჰქრებიან.

პარტახტით იფინება მუცელი, ხელფეხი, ზურგი, ხან ხელისი და ფეხის გულებიც.

მუცლის სახადმა გონების დახშობა გვიან იცის, შავმა სახადმა კი ადრე. მუცლის სახადმა იცის ნაწლავებიდამ სისხლის გამოღვრა, შავმა სახადმა კი არა. თავის ტკივილი ორი კვირის შემდეგ უამდება მუცლის სახადით ავადმყოფს, შავმა სახადმა კი დიდი ტკივილი იცის თავისა, რომელიც ბოლომდის გასტანს ხოლმე. მუცლის სახადმა შებრუნება იცის, პარტახტიანმა სახადმა კი არა; მუცლის სახადით ავადმყოფი ნელ-ნელა რჩება პარტახიანი სახადით ავადმყოფი კი ძალიან მალე.

ყველა ზემო ჩამოთვლილი განსხვავებათა მიუხედავათ ხან ისეთი არა ჩვეულებრივია პარტახტიანი სახადი, რომ ძნელია გარჩევა მუცლის სახადისაგან. საჭიროა ხანგრძლივი დაკვირვება.

წამლობა.

პარტახტიან სახადს განსაკუთრებული წამალი არა აქვს. მისი წამლობის საფუძველს შეადგენს წესიერი მოვლა და ჰიგიენის მოთხოვნილებათა შესრულება. ოთახი მოზრდილი, მშრალი და ნათელი უდნა იყვეს, გასანიავებელი და ჰაერის გასაახლებელი მოწყობილება ჰქონდეს; ავადმყოფთან მუდამ უნდა ვინმე იყვეს, მეტადრე მაშინ, როცა ის უგონოთ არის.

დიდათ სასარგებლოა წყლით წამლობა: ვანნები, სველ ზეწარში შეხვევა ან სველი ტილოთი ტანის გაწმენდა. ვანნის ტემპერატურა 28° R უნდა იყვეს; შეიძლება თანდათან ვანნის წყალი გავაგრილოთ 26—25 გრადუსამდე ცივი წყლის დარევით ავადმყოფის ვანნაში ჯდომის დროს; ვანნაში ჯდომა საკმარისია 10—15—20 წ., ვანნა ამშვიდებს ავადმყოფს. ვანნის განმეორება შეიძლება დღეში ორჯელ-სამჯერ, თუ ამას მოითხოვს ავადმყოფის მდგომარეობა. როცა ვანნის გაკეთება მოუხერხებელია, მაშინ მის მაგივრად მიმართავენ ზეწარში შეხვევას ან სველი ტილოთი ტანის დაზელვა-გაწმენდას. საჭიროა ავადმყოფს თავზე ყინული ედოს. ვანნა ყოველთვის კარგია, თუ ავადმყოფს ძალზე სუსტი გული არა აქვს. ვანნებს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: როგორც წამლისა და როგორც საუკეთესო ზომა სისუფთავის დაცვისა. პარტახტიანი სახადით ავადმყოფის წამლობის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს გულის და ნერვების მდგომარეობას. თავიდანვე საჭიროა ცოტ-ცოტა გულის გასამაგრებელი წამლობა. ავადმყოფობის გაძლიერების და სიცხის ჩამოვარდნის დროს საჭიროა ყველანაირად გავამაგროთ გულის მუშაობა: აქ საჭირო: ხდება ქაფური, კოფეინი, დიგიტალინი, ღვინო. ღვინო უფრო მაშინ არის საჭირო, თუ ავადმყოფი ჩვეული იყო სმას. ნერვების დასამშვიდებლად ვანნების გარდა, ხშირად საჭიროა წამალიც, მეტადრე თავის ტკივილისა და უძილობისათვის. ასეთი წამლებია პირამიდონი, ბრომი და სხვა, რომლებიც ექიმმა უნდა გამოსწეროს. ოთახში სჯობს სიგრილე იყვეს; ეს კარგად მოქმედობს ნერვების მდგომარეობაზედ და თვით ავადმყოფობა უფრო კარგად და მსუბუქად მიმდინარეობს. სიცხის დამწევი წამლები სიფრთხილით უნდა ვიხმაროთ. სასმელ-საკმელი: რძე, მაწონი, ბულიონი, რძის ფლავი, კვერცხები, კისელი, ბრინჯის წვენი, წყალ-ღვინო, ჩაი, ყავა.

შრატით წამლობას ჯერ სასურველი ნაყოფი არ გამოულია.

ბრძოლა შავ სახადთან.

ბრძოლა მტერთან მაშინ არის საიმედო, რაცა იცი, ვინ არის და სად არის იგი, რა ძალების პატრონია და იმავე დროს გათავალისწინებული გაქვს შენი ძალებიც. შეგვიძლიან თუ არა პარტახტიან სახადთან ბრძოლა, ვიცნობთ თუ არა ამ ჩვენს მტერს, ვიცით თუ არა მისი გავრცელების გზები და გვაქვს თუ არა საშუალებანი, რომ ნაყოფიერად ვაწარმოვოთ მასთან ბრძოლა?

ერთი რამ მტკიცეთ ვიცით, რომ შავი სახადი საცვლების ტილს გადაქვს ავადმყოფიდან საღ ადამიანზედ; შავი სახადი იქ ვრცელდება, საცა მრავლად არის ეს ტილი. სიღარიბე და მისი თანამგზავრნი: მჭიდრო ცხოვრება, უსუფთაობა და შიმშილი, აი მკბენარის გავრცელების სამეფო, აი ნიადაგი შავი სახადის ძლიერებისა. ამ ნიადაგის აღმოფხვრა საუკეთესო ზომაა შავი სახადის მოსპობისა. გერმანია, ინგლისი, შვეცია, ბელგია, შვეიცარია—საუკეთესო მაგალითებია ამისა,—იქ შავი სახადი დიდი ხანია მოსპობილია. ამის დასამტკიცებელი ციფრები ზემოთ იყო მოყვანილი.

ვრცელდება თუ არა ეს მოაროული სხვანაირადაც? ეს ჯერ დამტკიცებული არ არის. ვიცით, რომ შხამი შავი სახადისა მხოლოდ ავადმყოფის სისხლშია. მაშ ეს სისხლი უნდა შეერიოს საღი ადამიანის სისხლს, რომ უკანასკნელი ავად გახდეს. როგორ უნდა მოხდეს ეს? ეს უნდა მოხდეს ან ტილის საშუალებით, ან შემთხვევით ავადმყოფის სისხლი (ჭრილობიდან, ცხვირიდან წამსკდარი) უნდა მოხვდეს საღი ადამიანის ნაკაწრს ან ნაჩხვლეტს. მაგრამ ამ გვარი შემთხვევა ძალიან იშვიათია. ჩვეულებრივ მოვლენათ კი უნდა ჩაითვალოს სახადის ტილის მიერ გავრცელება. ტილი ისეთი ცხოველია, რომ შორს წასვლა არ უყვარს და ერთი ადამიანიდამ მეორეზე გადადის, თუ ორთავენი ერთი ერთმანეთზე ძალიან ახლო არიან, ერთმანეთს ეხებიან. ამიტომაც არის, რომ ექიმები, ფერშლები, მოწყალების დანი და სხვა მომვლელი უსუფთაო ავადმყოფებისა, პირველი მსხვერპლნი ხდებიან შავი სახადისა. იგივე პირნი იშვიათად ხდებიან ავად, თუ გიგიენურ პირობებში უხდებათ მუშაობა. ტან დაბანილი, ტილებ გაცლილი, სუფთად ჩაცმული ავადმყოფი საშიში აღარ არის სხვებისთვის. უსუფთაო და ტილიან ავადმყოფებში ტრიალი მუდამ სახიფათოა, ძნელია ისე გაფთხილდე, რომ ტილი არ შეგაჯდეს. ხან საჭიროც არ არის, რომ ტილმა გიკბინოს, საკმაოა მისი განავალით გასვრა ტყავისა და მერე აცრა, რომ ადამიანი ავად გახდეს სახადით. ჰაერში შავი სახადის შხამი არ არის, ამიტომაც ხელით, სუნთქვით მისი გავრცელება არ შეიძლება. მაშ თუ გვინდა შავი სახადის მოსპობა, ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ტილებს, ისინი მოვსპოთ და ამით თვით სახადსაც მოვსპობთ როგორც ვხედავთ გადამდებლობა შავი სახადისა მარტო მაშინ ყოფილა დიდი, როცა ავადმყოფი უსუფთაოა და მის გარშემოც სისუფთავე არ ყოფილა დაცული. ტილის მოსპობასთან ერთად საჭიროა მოვსპოთ ის პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ეპიდემიის გაჩენას,—უნდა ვიზრუნოთ ხალხის სისუფთავეზე, მის საზრდოობაზე, ბინის გაუმჯობესებაზე. საჭიროა აგრეთვე ავადმყოფების განცალკევება და მათი მოთავსება ცალკე სამკურნალოებში. ავადმყოფები უნდა დარჩნენ საავადმყოფოებში სანამ მორჩებოდნენ და კიდევ 15 დღე სიცხის ჩამოვარდნის შემდეგ, რადგან გამოკვლეულია, რომ ამ ხნის განმავლობაში მორჩენილების სისხლში შხამი არა ჰქრება, და შეიძლება ისინი მიზეზნი გახდნენ მოაროულის გავრცელებისა.

საავადმყოფოს უნდა ჰქონდეს მოწყობილება ახლად მიყვანილი ავადმყოფების ტანის გასაბანად და ტილების გასაშორებლად.

მაშ ბრძოლა მკბენართან! ტილი ძალზედ ნაყოფიერია: იგი ერთ დადებაზე 80 კვერცხს—წიწილს სდებს; 3-4 დღეში წიწილდამ პატარა ტილი გამოდის; 15-18 დღის შემდეგ იგი სრულდება და უკვე მოშენება შეუძლიან. ლესსერის ანგარიშით ერთი დედალი ტილი 8 კვირის განმავლობაში 5000 ტილს აჩენს.

წიწილს მაგარი კანი აქვს და უფრო უძლებს წამლებს, ვიდრე ტილი. უნდა ვცდილობდეთ ტილთან ერთად მოვსპოთ წიწილიც. ამისთვის საუკეთესო საშუალებაა: ძალ მაღალ ტანის დაბანვა და საცვლების გამოცვლა; საცვლების და ტანისამოსის მალ-მალე რეცხა და საპონ-წყალში ხარშვა; წყალს ცოტა ნავთი უნდა მიუმატოთ (ვედროზე ორი სტოლის კოვზი) რადგან უამისოდ წიწილი არა კვდება. რომელი ტანისამოსის რეცხვა და ხარშვა არ შეიძლება, ის უნდა სადეზინფექციო კამერაში გავატაროთ, ან თონეში ჩავბერტყოთ და გავაფიცხოთ, ან 10 პროც. ნაფტალიზოლი, ან მალინინის წამალი ვასხუროთ ან ცხელი უთოთი გავაუთოოთ. ეგრეთვე უნდა მოვექცეთ ლოგინს, საფენს.

თავიდამ ტილის მოსაშორებლად თმა უნდა გადავირთვათ ან მოკლეთ გადავიკრიჭოთ, თავი მალ მალე დავიბანოთ, თმები 10 პროც. ნაფტალიზოლით ან ნავთით, ან და ძმრით დავისველოთ ხოლმე; თავში წილს სპობს ცხელი ძმარი და სულემა (1:300 ძმარი) სახლი უნდა დასუფთავდეს, იატაკი გაირეცხოს ცხელი წყლით და სოდით, გაიწმინდოს შემდეგი სითხით: ერთი ნაწილი კარბოლის სიმჟავე, $9^1/_2$ ნაწილი. სკიპიდარი და $9^1/_2$ ნაწილი ნავთი.

ავეჯი უნდა გაირეცხოს და გაიწმინდოს შეზავებული მწვანე საპნით, ნავთით და კარბოლის სიმჟავით (ყველა ეს ცხელ წყალში გაიხსნება შემდეგი წესით: ერთი ვედრო წყალი, გირვანქა ნახევარი მწვანე საპონი, ამდენივე კარბოლის სიმჟავე და ნავთი); ხის ავეჯი შეიძლება სულემითაც გავსწმინდოთ—ერთი გრამი სულემა ერთ ჩარეცა წყალში. ლითონის ნივთებს სულემა აშავებს.

ტილი უფთხის ზოგ წამალს; ამიტომ კარგია, რომ ავადმყოფისაგან ტილი არ გადმოგვაჯდეს, ასეთი წამლები მაჯებზე, საყელოზე და ყველგან, საცა ტილს შეძრომა შეუძლიან, წავისვათ ხოლმე. ასეთ წამლებს ეკუთვნიან სკიპიდარიანი ვაზელინი, დარიჩინის და მიხაკის ზეთი, ქაფურის ზეთი ან ქაფურის სპირტი.

ექიმი **კ. ელიოზიშვილი.**

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **ხამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **ხამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **ხაფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **ხამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიხკენ — ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დალის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 45 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა
იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.
მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.
მცხეთიდან მოდის
მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ექიმი
ა. მ. პაატაშვილი
იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).
(25—2324—1)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაგიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ქალ-ქისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1
7—92.

ხამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი
ე. ა. მონსე
ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, საღსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კკირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—42

სტამბა ალექსანდრისა, გიბაევის შესახვევი № 4.